№1846 2015 წლის 4 სექტემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ი/მ ,,რაული მაჭარაძისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, მარნეულის ქ. №44-ის მიმდებარედ 1055 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.18.12.011.131) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 9938 (ცხრა ათას ცხრაას ოცდათვრამეტი) ლარად საკუთრებაში გადაეცეს ი/მ ,,რაული მაჭარაძეს“ (პ/ნ 60001061991).

2. საპრივატიზებო პირობად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში;

ბ) №01.18.12.010.049 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული ვალდებულების შეწყვეტისათვის (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882015039216, თარიღი: 28/01/2015) საჭირო ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ამავე ჩანაწერიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიმართ არსებულ მოთხოვნებზე უარის თქმა, შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით,

უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**